Sun Petroleum Georgia LLC
Official Distributor of Gulf Oil International in Georgia
34 Chavchavadze Ave. Tbilisi 0179, Georgia
Tel: +995 322 49 64 44 Fax: +995 322 49 64 40

Gulf

სან პეტროლიუმ ჯორჯია
გალფ ოილ ინტერნეშენალის ოფიციალური
დისტრიბუტორი საქართველოში
ჭავჭავაძის გამზ. 34, თბილისი 0179, საქართველო
ტელ: +995 322 49 64 44 ფაქსი: +99 322 49 64 40

1/226
26.07.21.

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს
დირექტორის ქრეიგ სთივენ ქრამერის

მობ: 577 10-80-16 (ავთანდილ გოგალაძე)
ელ. ფოსტა. official@gulf-ge.com

განცხადება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “სან პეტროლიუმ ჯორჯია” გეგმავს **ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, აეროპორტის დასახლება, ს/კ 01.19.26.004.054, 21500 მ³ ტევადობის (360000 მ³ წლიური ბრუნვით) ნავთობბაზის** მშენებლობას. საპროექტო წარმადობა საწარმოსი შეადგენს 360000 მ³/წელ თეთრი ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელის საწვავი) მიღება-შენახვა-გაცემა.

2008 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ეკო ჯორჯია“-ს ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4 200 მ³ ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა; ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია) გაიცა №21 (24.04.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2011 წელს შპს „ეკო ჯორჯიამ“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო ნომრით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

აღნიშნული საწარმო წარმოადგენდა შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზი“-ს საკუთრებას, რომელზედაც სამინისტროს მიერ გაცემულია №21 (24.04.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ხოლო სამინისტროს №2-929 (24/06/2021) ბრძანების საფუძველზე მასზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

№ 13282
"27" 07 2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს # 2-1002 (01/07/2021) ბრძანების საფუძველზე შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 1 დანართის მე-29 მუხლის შესაბამისად საქმიანობა ექვემდებარება სკოპინგის ანგარიშის მომზადებას.

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე შპს **"სან პეტროლიუმ ჯორჯია"** ვალდებულია პირველ ეტაპზე მოამზადოს სკოპინგის ანგარიში, ხოლო შემდგომ სკოპინგის დასკვნის საფუძველზე გზშ-ს ანგარიში.

აქედან გამომდინარე კოდექსის მე-29 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

- **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს 21500 მ³ ტევადობის (360000 მ³ წლიური ბრუნვით) ნავთობბაზის მშენებლობისა და ექსპლოატაციის** სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით

ქრეიგ სთივენ ქრამერი
დირექტორი